



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N17

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. დუშეთი

#### **დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

ვინაიდან საბეჭდი ქაღალდის წლიური მარაგი ამოწურულია და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი ჯერ არ გამოვლენილა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებას ექმნება რეალური საფრთხე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას, რათა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულის გმოვლენამდე ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს საბეჭდი ქაღალდის ერთი თვის მარაგის შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობის თანავე.

